თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ.თელავი 20. 02. 2024 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, რუსუდან იმერლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს **ანა ფეიქრიშვილს** გაეკეთებინა განმარტება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. **ანა ფეიქრიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად ცვლილება ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, კერძოდ ინფრასტრუქტურის განყოფილების საშტატო რიცხოვნობის ზრდას 1 ერთეულით. ორგანიზაციის მიზნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ხსენებული საშტატო ერთეული (IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი), რომელიც დღეის მდგომარეობით ვაკანტურია და შედის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მატერიალურ-

ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების დაქვემდებარებაში, იერარქიული რანგისა და კატეგორიის ცვლილებით, როგორც III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, გადატანილ იქნას ინფრასტრუქტურის განყოფილებაში. შტატის გადაადგილების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანი საშტატო რიცხოვნობა რჩება უცვლელი. იზრდება ინფრასტრუქტურის განყოფილების საშტატო რიცხოვნობა და განისაზღვრება 8 ერთეულით, ხოლო ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილების საშტატო რიცხოვნობა შემცრიდება 1 ერთეულით და განისაზღვრება 15 ერთეულით.

დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ზრდას. კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოების მატებას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, შემდეგი სახით:

ა) მერის წარმომადგენელი - 2 000 ლარი (არსებული სარგო -1900 ლარი);

ბ) სპეციალისტი - 1 200 ლარი (არსებული სარგო - 900 ლარი). დადგენილების პროექტის მიღების შემთხვევაში, საშტატო გადაადგილების შედეგად, გაიზრდება ინფრასტრუქტურის განყოფილების ადამიანური რესურსი, რაც დადებით გავლენას მოახდენს განყოფილებისა და სამსახურის ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაზე.

აგრეთვე გაიზრდება თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება, რაც ასევე დადებით გავლენას მოახდენს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელებაზე.

იმედა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს სისტემის შეცვლა და სამსახურების საჯარო მოხელეთა ოპტიმიზაცია შემცირების მიზნით.

გიგი გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ მის გაგზავნილ წერილებზე მერიის მხრიდან არ ხდება რეაგირება და ითხოვა საკითხის გარკვევა. საჯარო სამსახურში დასაქმებულთა ხელფასები კი არის მცირედი და კითხვის ნიშნებს ბადებს ამიტომ აღნიშნა რომ საჭიროა მოხდეს მოხელეთა ოპტიმიზაცია.

გადაწყვიტეს: კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

წინააღმდეგი: რუსუდან იმერლიშვილი იმედა კევლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს გიგი გიგიტელაშვილმა, ბაადურ გულიაშვილმა.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პარამეტრები რჩება უცვლელი, უნდა მოხდეს ბიზნესის ხელშეწყობა თუმცა მიზანშეწონილი იქნება სამომავლოდ თუ მოხდება ნორმატიული ფასის გადახედვა და შუალედური ზონის არეალის გაზრდა. სხვა მოსაზრებები ან შენიშვნები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს:კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ ნორმატიულ აქტში იყო ტექნიკური სახის ხარვეზი და მოხდა მისი შესწორება, აგრეთვე დადგენილების დანართის ნუსხაშიც მოხდა ცვლილება მოწვეული დარგის სპეციალისტის მოსაზრების გათვალისწინებით და დღეის მდგომარეობით დაზუსტებულია იგი. სხვა მოსაზრებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი**